# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი – 639

ქ. თბილისი „30" 12 2009 წ.

### „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტი"-ს მიერ წარმოდგენილ „ოზურგეთი-ნატანები- ურეკის საავტომობილო გზის მე-14კმ-ზე მდ. ჯახვათაზე სახიდე გადასასვლელის მოწყობის და მისასვლელი გზის რეაბილიტაციის" საპროექტო დოკუმენტაციის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №107; 28.12..09წ „ოზურგეთი-ნატანები- ურეკის საავტომობილო გზის მე-14კმ-ზე მდ. ჯახვათაზე სახიდე გადასასვლელის მოწყობის და მისასვლელი გზის რეაბილიტაციზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. ბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №107; 28.12.09წ და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.*

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.*